ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

წესდება

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 19-ა
თარიღი: 22.10.2013
ბოლო ცვლილება: რექტორის ბრძანებით N 19-ა
თარიღი: 24.12.2024

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

თავი I. ზოგადი დებულებანი **2**
თავი II. სასწავლებლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა **3**
თავი III. სასწავლებლის პერსონალი **13**
თავი IV. სტუდენტი **17**
თავი V. გარდამავალი დებულებები **19**
თავი VI. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა **19**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესდების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე წესდება არის **შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნში** (შემდგომში – სასწავლებელი) მართვის პრინციპებისა და წესების, საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესის განხორციელების განმსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი აქტი;

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, დამატებით რეგულირდება სასწავლებლის შიდა სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. სასწავლებლის სტატუსი

1. სასწავლებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე;

2. სასწავლებლის სრული სახელწოდებაა: შპს ,, ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი .“ სასწავლებლის შემოკლებული სახელწოდებაა “ნიუუნი”.. სასწავლებლის მისამართია: გ.ჭყონდიდელის 56, 0180, თბილისი, საქართველო.

მუხლი 3. სასწავლებლის ხედვა, მისია, მიზნები, ღირებულებები

3.1. სასწავლებლის ხედვაა:

ახალი უმაღლესი სასწავლებლი - ნიუუნი წარმოადგენს ევროპული სტანდარტების შესაბამის, სტუდენტისა და პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საგანმანათლებლო და სოციალურ მხარდაჭერას; აქვს მაღალი ნდობა და საყოველთაო აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

3.2.სასწავლებლის მისიაა:

ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათთვის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება; კვლევითი საქმიანობის განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, მათი პიროვნული და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სტუდენტთა წარმატების ხელშეწყობა მრავალფეროვანი აკადემიური, პროფესიული, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებით.

3.3. სასწავლებლის ღირებულებებია:

- სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა;
- კეთილსინდისიერება;
- უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა;
- აკადემიური თავისუფლება;
- გუნდურობა;
- გამჭვირვალობა.

3.4 მიზნები:

- პოტენციურ დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მათ გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა, სწავლება-სწავლის უახლესი მეთოდების დანერგვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს დანერგვა და მუდმივი განვითარება, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში; სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა/ წახალისება;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა; საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების შეთავაზება;
- კურსდამთვარებულთა დასაქმების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

თავი II. სასწავლებლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

მუხლი 4. სასწავლებლის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები

1.სასწავლებლის სტრუქტურით განსაზღვრულია:

ა) აკადემიური საბჭო;

ბ) რექტორი;

გ) რექტორის მოადგილე;

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ვ) ფაკულტეტი;

ზ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

თ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

ი) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

კ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;

ლ)საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

მ) საფინანსო სამსახური;

ნ) ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სამსახური;

ო) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

პ) სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი;

ჟ) ბიბლიოთეკა;

რ) საქმისწარმოების სამსახური.

2. სასწავლებლის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან: ***აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.***

3. სასწავლებლის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია ფაკულტეტი, რომლის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტი) არიან: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო (ფაკულტეტის საბჭო); ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი (ფაკულტეტის დეკანი).

4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

5. სასწავლებლის პარტნიორთა კრება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით ნიშნავს რექტორს და მასზე ახდენს სასწავლებლის მართვის დელეგირებას.

6. სასწავლებლის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროებში არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

7. სასწავლებლის მართვის ორგანოები განისაზღვრება და მათ შორის კომპეტენციები ნაწილდება წინამდებარე წესდებით.

8. სასწავლებლის მართვის ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ ამ წესდების და შესაბამისი ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების /მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე/ დადგენილი წესით. მათ ქმნის ან აუქმებს სასწავლებლის რექტორი.

9. სასწავლებლის სტრუქტურა მტკიცდება რექტორის მიერ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები განისაზღვრება და მათ შორის კომპეტენციები ნაწილდება დაწესებულების წესდებით.

მუხლი 5. სასწავლებლის მართვის პრინციპები

1. სასწავლებელი უზრუნველყოფს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებების, მართვის ორგანოების ანგარიშებისა და სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

დ)თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;

ე) არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობას, გამჭვირვალობას და საჯაროობას.

მუხლი 6. სასწავლებლის რექტორი

1. რექტორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, , რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორთა კრება.

2. რექტორის თანამდებობაზე დანიშვნა ხდება კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ხედვისა და სამოქმედო გეგმის წარმოდგენის საფუძველზე .

3. რექტორი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს სასწავლებელს ქვეყნის შიგნით და გარეთ ურთიერთობებში, რისთვისაც უფლებამოსილია სასწავლებლის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. რექტორი ანახორციელებს სასწავლებლის საერთო ხელმძღვანელობას და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

4. რექტორი მოქმედებს წინამდებარე წესდების შესაბამისად მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5. რექტორის უფლებამოსილებანი:

ა) ანაწილებს ფუნქციებს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მათზე თავისი უფლებამოსილების დელეგირებას;

ბ) გამოსცემს სასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივ აქტს (ბრძანება);

გ) კოორდინაციას უწევს სასწავლებლის საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებს;

დ) ამტკიცებს სასწავლებლის ბიუჯეტს;

ე) განსაზღვრავს სწავლის საფასურს;

ვ) ამტკიცებს სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას;
ზ) ამტკიცებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის ჩატარების კრიტერიუმებს;
თ) ამტკიცებს სასწავლებლის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებს;
ი)გამოსცემს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივ აქტების და ახორციელებს მათში ცვლილების/დამატებების შეტანას;
კ) ნიშნავს სტიპენდიებს წარჩინებული სტუდენტებისათვის;
ლ) ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამის თანამდებობაზე პერსონალს, უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტით გაფრომებას;
მ) იღებს სამართლებრივ აქტებს იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომელთა მოწესრიგება, წინამდებარე წესდების შესაბამისად, არ განეკუთვნება სხვა სტრუქტურულ ერთეულთა უფლებამოსილებას.
6. რექტორის შვებულების/მივლინების შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს რექტორის მოადგილე ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რომელიც განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. სხვა საფუძვლით არყოფნის შემთხვევაში თუ რექტორი მოკლებულია შესაძლებლობას ბრძანებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის, მის მოვალეობას ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
7. რექტორი, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს და შეიმუშავებს შემდგომში განსახორციელებელი აქტივობების ძირითად მიმართულებებს;
8. რექტორი სასწავლებლის საქმიანობის წლიური ანგარიშით წარსდგება სასწავლებლის წინაშე.

მუხლი 7. აკადემიური საბჭო

1. აკადემიური საბჭო არის სასწავლებლის დამოუკიდებელი კოლეგიური სტრუქტურული ერთეული, რომელიც არის უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიური ორგანო; იგი თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე წესდებისა და აკადემიური საბჭოს დებულების საფუძველზე.
2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც აირჩევიან ფაკულტეტ(ებ)ის საბჭოს მიერ; აკადემიურ საბჭოში აირჩევა მხოლოდ სასწავლებლის პროფესორი და ასოცირებული პროფესორი 4 წლის ვადით. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უნდა ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი მაინც. აკადემიური საბჭოს წევრად არ

შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც იმავდროულად იკავებს სასწავლებელში ადმინისტრაციულ თანამდებობას.

3. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს სასწავლებლის რექტორი.

4. აკადემიური საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.

5. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის მესამედისა.

7. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

8. სხდომის ოქმის საფუძველზე აკადემიური საბჭო გამოსცემს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

9.საბჭოს ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი საკითხი, რომლის დამტკიცების უფლებამოსილება საბჭოს არ გააჩნია, წარედგინება სასწავლებლის რექტორს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემის მიზნით.

10.აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების დღესვე, თუ სხდომის ოქმით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. განიხილავს და ამტკიცებს სასწავლებლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;

2. ხელს უწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაფართოებას;

3. ადგენს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა წესებს;

4. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, მათში განსახორციელებელ ცვლილებებს;

5. განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

6. განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სასწავლებლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, სტუდენტის ეთიკის კოდექსს, უსაფრთხოების და სხვა წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლებლის რექტორს;

7. განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს აკადემიური თანამდებობისა და მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების წესს;
8. ახორციელებს სასწავლებლის წესდებითა და საკუთარი დებულებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. რექტორის მრჩეველი

1. მრჩეველი ეხმარება რექტორს სასწავლებლის სტრატეგიული მიმართულებებისა და ადმინისტრაციულ-ფინანსური საქმიანობის პოლიტიკის განვითარებაში.
2. რექტორის მრჩეველი შეიძლება იყოს სასწავლებლისგან დამოუკიდებელი პირი, ბიზნეს სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი, დარგის/განათლების ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტი ან/და საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანი.
3.რექტორის მრჩეველი, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება სასწავლებლის წინაშე მდგარი ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სასწავლებლის განვითარებაზე.
4. რექტორის მრჩეველს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, დაწესებულების წინაშე მდგარი აქტუალური საკითხების შესაბამისად.

მუხლი 10. რექტორის მოადგილე

1. რექტორის მოადგილე, არის სასწავლებლის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელიც ეხმარება რექტორს სასწავლებლის სერვისებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარების მიმართულებით.
2. რექტორის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ხოლო მის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს სასწავლებელი. რექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია მის წინაშე და რექტორის არყოფნისას წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას. იგი მისი საქმიანობის წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს.
3. რექტორის მოადგილე ახორციელებს მასზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციასა და ზედამხედველობას;
4. რექტორის მოადგილის ძირითადი ფუნქციები:
ა)ზედამხედველობას უწევს სასწავლებლის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებს;
ბ)ხელს უწყობს და ახალისებს სასწავლებლის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს;
გ) შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩართულობით;

გ) ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, სამეცნიერო - კვლევით ცენტრთან ერთად ამოწმებს სასწავლებლის აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამეცნიერო ანგარიშს;

ე) ხელს უწყობს სასწავლებლის კვლევის ინეტრნაციონალიზაციის პოლიტიკის განვითარებას;

ვ) ზედამხედველობას უწევს სტუდენტური სერვისებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, ამ მიზნით ხელს უწყობს და ახალისებს სასწავლებელში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას;

ზ) ზედამხედველობას უწევს უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, ამ მიზნით ხელს უწყობს და ახალისებს სასწავლებელში უცხოელი ესპერტების/სპეცილისტების მოწვევასა და მათი ჩართულობით პროფესიული განავითარების ღონისძიებების განხორციელებას;

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს უსდ-ს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ანგარიშების მომზადებაში.

მუხლი 11. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

1. ადმინისტრაციის უფროსი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროებში;

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში;

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, მრჩეველთან შეთანხმებით;

4. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, სპეციალური უფლებამოსილების დელეგირებისა და წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ რეგულაციების საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ახორციელებს სასწავლებლის მართვასა და მესამე პირებთან ურთიერთობას.

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

ა) ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული ადმინისტრაციული ერთეულების/სტრუქტურული ქვედანაყოფების ეფექტურ, მოწესრიგებულ და ჯეროვან მუშაობას;

ბ) ზედამხედველობას უწევს ბიუჯეტის შესაბამისად ფინანსური და ეკონომიკური გარიგებების დადებას;

გ) მონიტორინგს უწევს ბიუჯეტის შესაბამისად შესყიდვების განხორციელებას;

დ) ზედამხედველობს სასწავლებლის უძრავ-მოძრავი ქონების და ფინანსური რესურსების/წყაროების მართვას;

ე) ახორციელებს ინსტიტუციის საგანმანთლებლო საქმიანობის ბიუჯეტის შედგენის პროცესის ორგანიზების უზრუნველყოფას;

ვ) ახორციელებს საფინანსო სამსახურთან ერთად ბიუჯეტის პროექტის მომზადებასა და რექტორისთვის წარდგენას;

ზ) მონაწილეობს ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცესში;

თ)კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს წესებისა და პროცედურების აღწერილობების შემუშავებას;

ი) ახორციელებს მის დაქვემდებარებაში შემავალი პერსონალის საქმიანობის კონტროლს, უზრუნველყოფს მათ სამუშაო დისციპლინას და განვითარების ხელშეწყობას;

ლ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს;

კ) პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მისი საქმიანობის წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს.

მუხლი 12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. სასწავლებლის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებასა და განვითარებას. ამ მიზნით, \ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიმოქმედებს წინამდებარე წესდების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების შესაბამისად.

2. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხელს უწყობს სასწავლებლის ინტეგრაციას უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში და ბოლონიის პროცესის პრინციპების განხორციელებას;

ბ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;

გ) მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის შემუშავებაში და მას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

დ) მონაწილეობს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებში;

ე)შეიმუშავებს სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და მექანიზმებს და შესაბამის ინსტრუმენტებს; ყ

ვ) სისტემატურად აფასებს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხს, ხელმძღვანელობს სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა და მექანიზმებით;

ე) მონაწილეობს სტუდენტთა მობილობის რეგულირების პროცესში;

ვ) უზრუნველყოფს უსდ-ს ინსტიტუციური ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესებისათვის თვითშეფასების მომზადებასა და პროცესების წარმართვას;

ზ)ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

3. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი ხედვისა და სამოქმედო გეგმების წარმოდგენის საფუძველზე.

მუხლი 13. ფაკულტეტ(ებ)ი

1. ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს ფაკულტეტი, რომელიც აკადემიური თავისუფლების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შესაბამის სპეციალობაში და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას.

2. გადაწყვეტილებას ფაკულტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს რექტორი.

სასწავლებლის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანო და მმართველი სუბიექტი:

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 14. ფაკულტეტის საბჭო

1.ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის ძირითადი შემადგენლობა ყალიბდება აკადემიური პერსონალისადა სტუდენტებისაგან, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი.

2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში აკადემიური პერსონალის შესვლა, ასევე, ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის განახლება ხდება მათი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში ავტომატურად; ხოლო აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების/ვადის დასრულების შემთხვევაში საბჭოს წევრს ავტომატურად უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრობის სტატუსი.

3. ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტებით დაკომპლექტება ხდება სტუდენტური თვითმართველობის მიერ წარდგენილი კანდიდატით/კანდიდატებით, ფაკულტეტის საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული პროგრამიდან არანაკლებ 1

წესდება

წარმომადგენელი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტს ავტომატურად უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრობის სტატუსი.

5. ფაკულტეტის საბჭოს შეხვედრებს შესაძლებელია დაესწრონ ფაკულტეტის დეკანის მიერ მოწვეული სხვა პირები, როგორიცაა დამსაქმებელი, კურსდამთავრებულები და სხვ.

6. ფაკულტეტის საბჭოს ხელმძღვანელობს და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.

7. სავალდებულო წესით ფაკულტეტის საბჭო იკრიბება არანაკლებ თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შესაძლებელია დეკანის, რექტორის ან საბჭოს შემადგენლობის 1/3-ის მოთხოვნით.

8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა შემადგენლობის ნახევარი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით და ფორმდება შესაბამისი ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი (დანართის სახით ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმს თან ერთვის სხდომაზე დასწრების ფურცელი).

მუხლი 15. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;

ბ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

გ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს სასწავლებლის რექტორს;

დ) კურსდამთავრებულს ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს;

ე)ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს და კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და ზოგადად, ხარისხის კულტურის პრინციპების დანერგვას ფაკულტეტზე;

ვ) ქმნის ფაკულტეტის კომისიებს;

ზ) განიხილავს და წარუდგენს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამებს;

თ) განიხილავს საკითხებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდების შესახებ;

ი) ყოველი სემესტრის ბოლოს ისმენს ფაკულტეტზე გაწეული საქმიანობისა და სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეების შესახებ დეკანის ანგარიშს;

კ)ეცნობა დოკუმენტებს, რომლებიც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას;

ლ) შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და წარუდგენს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 16. ფაკულტეტის დეკანი

1.ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 (ოთხი) წლის ვადით.

2.ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის: ფაკულტეტის ადმინისტრაცია, მათთანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით. ხოლო მათი ფუნქციები დამატებით განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებებითა და სამუშაო აღწერილობით. ფაკულტეტზე დასაქმებული პერსონალი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას ქვესტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობის შინაარსი ინტეგრირებული იქნება სასწავლო პროცესში და ხელს შეუწყობს ფაკულტეტის განვითარებას.

3. ფაკულტეტის დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს ფაკულტეტის საბჭოს მუშაობას და წარმოადგენს ფაკულტეტის ინტერესებს სასწავლებლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და მესამე პირებთან.

4. დეკანის უფლებამოსილებებია:

ა) ფაკულტეტის შიდა სტრუქტურის, სტრუქტურით გათვალისწინებული პერსონალის უფლება-მოვალეობების შემუშავება და რექტორისათვის წარდგენა;

ბ) ფაკულტეტის სამოქმედო გეგმის, შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ბიუჯეტის პროექტის წარდგენა ფაკულტეტის საბჭოსათვის;

გ) ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ხელმძღვანელობა და მისი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა;

დ) სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს ფაკულტეტის საბჭოსთვის ფაკულტეტზე გაწეული საქმიანობისა და სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეების შესახებ ანგარიშის წარდგენა;

ე) აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მისანიჭებელ სტუდენტთა ნუსხის ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენა;

ვ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად, ფაკულტეტის კვალიფიციური ადამიანური რესურსებით დაკომპლექტების უზრუნველყოფა;

ზ) კონკურსის გამოცხადების შესახებ წინადადების წერილობითი სახით ადამიანური რესურსების სამსახურისათვის წარდგენა;

თ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვების განაწილების კოორდინაცია და მისი ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფა;

ი) დაქვემდებარების ქვეშ მყოფი თანამშრომლების ეფექტიანი მუშაობის ხელმძღვანელობა და ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფა;
კ) ფაკულტეტის პერსონალის დანიშვნის, გათავისუფლების, დაწინაურებისა და წახალისების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და რექტორისათვის წარდგენა;
ლ) მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ ფაკულტეტზე დასაქმებული პირების (ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული) ინფორმირება;
მ) ფაკულტეტზე სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობის ხელშეწყობა;
ნ) კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტების პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;
ო) დაქვემდებარებული პერსონალის ანგარიშების საფუძველზე ყოველი სემესტრის ბოლოს შემაჯამებელი ანგარიშის რექტორისა და ფაკულტეტის საბჭოსათვის წარდგენა;
2. ფაკულტეტის დეკანი პასუხისმგებელია რექტორისათვის ხელმოსაწერად წარდგენილი, ფაკულტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის სისწორეზე;
3. ფაკულტეტის დეკანი ექვემდებარება რექტორსა და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, აგრეთვე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

მუხლი 17. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია სასწავლებლის პროფესიონალი, გამოცდილი კადრებით უზრუნველყოფა, მათი სასწავლებელში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის, განვითარების, შესრულებული სამუშაოს შეფასების, მოტივაციის სისტემების პოლიტიკის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს, სასწავლებლის სტრატეგიიდან გამომდინარე, მისი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას; თანამედროვე მიდგომათა საფუძველზე სასწავლებელში ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა შესაძლებლობების საუკეთესოდ გამოვლენას, მათი შრომის უფლებების დაცვასა და ვალდებულებების რეალიზებას; სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში სასწავლებელში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.
2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება ამოცანები და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 18. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის კოორდინირებულ და ეფექტიან მართვას.

2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 19. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლებლის ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვას და მის გამართულ ფუნქციონირებას.

2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 20. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლებელში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დამუშავებასა და გავრცელებას შიდა და გარე დაინტერესებული პირებისათვის, სასწავლებლის საიმიჯო და PR მიმართულებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტების ინიციატივების განხილვას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში. სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 21. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლებლის როლის გაძლიერების გზით. სამსახურის სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარე, პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, პროგრამის

განამხორციელებელი პერსონალის და სტუდენტთა გაცვლით პროექტებში მონაწილეობის გაზრდა და საერთაშორისო ქსელებში სასწავლებლის როლის გაძლიერება.
2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 22. საფინანსო სამსახური

1. საფინანსო სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების ეფექტიან დაგეგმვასა და მართვას.
2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 23. ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სამსახური

1. ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია უზრუნველყოს სასწავლებლის შენობის და მიწის მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და მოვლა; ამასთან, უზრუნველყოს სასწავლებლის შენობის და მიწის მატერიალური ფასეულობების დაცვა და ასევე მომუშავე პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება.
2. სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, სამსახურის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება სამსახურის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 24. საქმისწარმოების სამსახური

1. საქმისწარმოების სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომლიც უზრუნველყოფს: სასწავლებლის დოკუმენტბრუნვას, შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დოკუმენტაციის დამუშავებას და სასწავლებლის დოკუმენტაციის არქივის წარმოებას.
2. საქმისწარმოების სამსახური ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, მისი სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება საკუთარი დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 25. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი

1. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას. ამასთან, უზრუნველყოფს სასწავლებლის პერსონალისა და მესამე პირთა პროფესიულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.
2. ცენტრი ფუნქციონირებს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში, ცენტრის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება ცენტრის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

მუხლი 26. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი წარმოადგენს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზანია: უზრუნველყოს სასწავლებლის სტუდენტებისათვის კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; , სასწავლებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის სასწავლო პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და საგრანტო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; საგრანტო და სხვა კვლევით პროექტებში სასწავლებლის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა; გარე და შიდა დაფინანსებასთან დაკავშირებული შიდა პროცესების მართვა. სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერაზე მიმართული სასწავლებლის შიდა საქმიანობის მართვა და შეფასება
2. მიზნების მისაღწევად, ცენტრი თანამშრომლობს სასწავლებლის ფაკულტეტ(ებ)თან, აკადემიურ პერსონალთან, ასევე შესაბამის ადამინისტრაციულ სტრქუტურულ ერთეულებთან;

2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის შემუშავებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და რექტორის მოადგილესთან ერთად;
3. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად, აფასებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, სასწავლებელში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;
4. ცენტრის სტრუქტურა, ანგარიშვალდებულება და ფუნქციები განისაზღვრება ცენტრის დებულებით. იგი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესდებითა და საკუთარი დებულებით.

თავი III. სასწავლებლის პერსონალი

მუხლი 27. სასწავლებლის პერსონალი

1. სასწავლებლის პერსონალი მოიცავს აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს;

2. სასწავლებელი უზრუნველყოფს პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურების შემუშავებას, რომელითაც უზრუნველყოფილია აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვა და დასაქმება;

3. პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები განსაზღვრულია სასწავლებლის შინაგანაწესით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით და ეთიკის კოდექსით.

მუხლი 28. სასწავლებლის აკადემიური პერსონალი

1. სასწავლებლის აკადემიური პერსონალი შედგება: პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.

2. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 29. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

3. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი.

4. აკადემიური პერსონალის არჩევისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სასწავლებელში აკადემიური პერსონალის არჩევის წესით.

მუხლი 30. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. პროფესორის თანამდებობაზე:

ა) 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა);

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ამ წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

4. ასისტენტის თანამდებობაზე ამ წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

5. შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე–4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

მუხლი 31. პროფესორის ატესტაცია

1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მუხ. 35, პ. 1-ის თანახმად, პროფესორი, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია უვადოდ, 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას;

2. ატესტაციის მიზანია უვადოდ არჩეული აკადემიური პერსონალის (პროფესორის) მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობიდან, პროფესიული უნარებიდან და სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე მის მიერ დაკავებული თანამდებობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა მასთან თანამშრომლობის საჭროების/მიზანშეწონილობის განსაზღვრისათვის;

3.ატესტაციის ჩატარების მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ქმნის საატესტაციო კომისიას და წარუდგენს რექტორს, რექტორი, ცვლილების შემთხვევაში, კომისიის წევრთა ვინაობას

უთანხმებს აკადემიური საბჭოს წევრებს და მათი დასტურის საფუძველზე, გამოსცემს სათანადო ბრძანებას;

4. ატესტაციის ჩატარების, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (განცხადება რექტორის სახელზე; სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობის დამადასტურებელი მასალა და სხვა) განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

5. საატესტაციო კომისია საატესტაციო დასკვნას თითოეულ პროფესორთან დაკავშირებით წარუდგენს აკადემიური საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას რათა გამოიცეს სათანადო სამართლებრივი აქტი პროფესორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე;

6. ატესტაციის ჩატარების ერთიან წესი და პირობები განსაზღვრულია „შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის უვადოდ არჩეული პროფესორ(ებ)ის ატესტაციის ჩატარების წესით“.

მუხლი 32. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის მართვაში, დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები სასწავლებლიში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და სასწავლებლის სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას სასწავლებლის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

დ)გაიაროს პროფესიული ატესტაცია სასწავლებლის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით;

ე) დაიცვას სასწავლებლის ეთიკის კოდექსი და მოქმედი პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატზე რეაგირების წესი,სტუდენტებს აუხსნას მათი მნიშვნელობა; კვლევითი ნაშრომის გამოქვეყნებამდე გაიაროს აღნიშნული წესით განსაზღვრული პროცედურები;

3. სასწავლებელი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას და ქმნის მისი საქმიანობისათვის შესაბამის პირობებს.

მუხლი 33. აკადემიურ პერსონალთან სამართლებრივი ურთიერთობა

1. აკადემიურ პერსონალთან სამართლებრივი ურთიერთობა, მათი უფლებები და ვალდებულებები რეგულირდება მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. აკადემიური პერსოანლის სამუშაო დატვირთვა და მისი შინაარსი განისაზღვრება სასწავლებლის სამართლებრივი აქტებითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 34. მოწვეული სპეციალისტი

1. სასწავლებელი უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით სასწავლბელში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე (მოწვეული სპეციალისტი).

2. მოწვეულ სპეციალისტად შესაძლებლია შერჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. გამონაკლის შემთხვევაში, მოწვეულ სპეციალისტად შესაძლებელია შერჩეულ იქნას მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს დოკუმენტურად დადასტურებული პროფესიული გამოცდილება და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. მოწვეული სპეციალისტის სასწავლებელში მოწვევის წესი განისაზღვრება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. .

4. მოწვეულ სპეციალისტთან შრომით ხელშეკრულებას დებს სასწავლებლის რექტორი.

5. მოწვეული სპეციალისტი უფლებამოსილია:

ა)მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის სასწავლო პროცესის წარმართვაში დაწესებულების სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ) ჩარევის გარეშე განახორციელოს თეორიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის სწავლება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები კანონმდებლობისა და სასწავლებლის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

დ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით წინამდებარე წესდებით, და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებები.

6. მოწვეული სპეციალისტი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ წესდებისა და სასწავლებლის სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

გ)დაიცვას სასწავლებლის ეთიკის კოდექსი და მოქმედი პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატზე რეაგირების წესი, კვლევითი ნაშრომის გამოქვეყნებამდე გაიაროს აღნიშნული წესით განსაზღვრული პროცედურები;

დ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, აუხსნას მათ აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების შინაარსი და მოუწოდოს მათ დასაცავად;

მუხლი 35. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. სასწავლებლის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სასწავლებლის სტრუქტურით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

2. სასწავლებლის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული დაწესებულების საქმიანობისათვის აუცილებელი ხელშეკრულებით დაქირავებული სხვა პირები/პერსონალი.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ამ კანონით გათვალისწინებული აკადემიური ან მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

თავი IV. სტუდენტი

მუხლი 36. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. სასწავლებლის სტუდენტი - არის პირი, რომელიც საქართველოს კანონით ,,უმაღლესი განათლების შესახებ“, სასწავლებლის წესდებითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული წესით ჩაირიცხება და სწავლობს უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად; აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები განისაზღვრება სასწავლებლის მიერ კანონმდებლობის დაცვით შემუშავებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

მუხლი 37. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

გ) წინამდებარე წესდებით, შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და სხვა დებულებებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, - საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად;

ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ზ) საქართველოს კანონმდებლობითა და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სახელმწიფო დაფინანსების გადატანის წესს განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

თ) საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლებელის წესდების შესაბამისად, სახელმწიფოსგან, სასწავლებელისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ი) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

კ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ლ) პერიოდულად შეაფასოს სასწავლებელის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მუშაობა;

მ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ნ) ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ო) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

2. სასწავლებელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ინდივიდუალური მომსახურეობის, ფინანსური დახმარების გაწევის, თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლიანი პროცედურის გზით. სასწავლებელში შემუშავებულია სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესებს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე და პასუხისმგებლობის ფორმებს, რომლის შესრულება სავალდებულოა თითოეული სტუდენტისათვის.

მუხლი 38. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია:

ა) სასწავლებლის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;

ბ) დაიცვას სასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება, სასწავლებლის წესდება, შინაგანაწესი, სტუდენტის ეთიკის კოდექსი და სასწავლებლის შიდა რეგულაციები.

გ) იზრუნოს სასწავლებლის კეთილდღეობასა და წარმატებებზე.

მუხლი 39. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სასწავლებელში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება/შექმნილი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულ(ე)ბის მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.

საგანმანათლებლო ერთეულ(ებ)ში არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;

ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას სასწავლებელის მართვაში:

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის საბჭოში;

დ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს/ფაკულტეტის საბჭოს;

ვ) ახორციელებს თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი V. გარდამავალი დებულებები

მუხლი 40. ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მუშაობის წესი

1. გადაულახავი ძალების მიერ შექმნილი მდგომარეობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ვლინდება /წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ეპიდემია, სამხედრო კონფლიქტები, სამხედრო გადატრიალება, ტერორისტული აქტი, მოქალაქეთა მღელვარება, გაფიცვათ, მიწერილობა, ბრძანება ან სხვა ადმინისტრაციული ან სამთავრობო შეზღუდვა/ და გავლენას ახდენს სასწავლებლის პერსონალის მიერ ლოკალურად/სასწავლო გარემოში საკუთარი ფუნქციების შესრულებაზე, სამუშაო და სასწავლო პროცესი წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების (საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის) გამოყენებით.
2. სასწავლებლის კოლეგიური ორგანოების შეხვედრა/მუშაობა წარიმართება აუდიო-ვიზუალური ელექტრონული პლატფორმ(ებ)ის მეშვეობით, ხოლო ყოველი სხდომის შემდეგ ფორმდება ოქმი, რომელსაც ელექტრონულად ხელს აწერენ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
3. სასწავლებელში გამოცემულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტ(ებ)ზე ან/და ნებისმიერ სხვა დოკუმენტ(ებ)ზე (რომელზეც აუცილებელია უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერა) ხელმოწერა ხორციელდება ელექტრონული წესით.

მუხლი 41. წინამდებარე წესდების მე-15 მუხლის "ბ" ქვეპუნტი და მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

თავი VI. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 42. სასწავლებლის წესდების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

სასწავლებლის წესდების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ, სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს სრული შემადგელობის ნახევარზე

მეტი, მიღებული გადაწყვეტილება მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

მუხლი 43 . დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.